

# თეატრი

საყოველთაო-კვირლო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

17 ნოემბერი

გამოცემა

№ 13

კვირამბით

1885 წელს.

### ფასი „თეატრ“-ის

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოკანა წლის ფასისა; წელის მოწერისათვის სამი (3) მანეთი, მანში ერთი (1) მანეთი და მარამობის თვეშიც ერთი (1) მანეთი ცალკე სომერა „თეატრ“-სა და წს სამა (3) მანეთი. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრუქონზე 5 კაპ, პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი

### ხელის მოწერა მაიკება:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“ ს რედაქციაში. ქუთაისში მძ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლის შვილთან. თელავში ი. როსტომიშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრეს: Tiflis, Redakcii „Teatri“.

კორესპონდენტები და საზოგადო ნაწერები პირ-და-პირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოიკვანოს. დაუბეჭდვდ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

ამ მეცამეტე ნომერთან ეგზავნებათ ხელის მომწერლებს ჩვენი პოეტის თავ. ჯაკეი წერეთლის სურათი.

ქართული

18

დღეს, კვირას,



თეატრი

85

17 ნოემბერს

ქართული დრამატული დასისთვის წარმოდგენილი იქნება:

I

ახალი ზეისა

## ალექსთა ბადე

გომედი. 4 მოქმედი, გადმოკეთებული ნ. უმიკაშვილისგან.

დასასრულ

## ლეკურია

მოთამაშენი მ. ანდრონიკოშვილი და ცხაპანი

დასაწყისი 8 საათზე.

### აკაკის სურათზედ

პ

ასაკი ქართული ანბანი უსწავლია, ყველამ იცის აკაკის სახელი. შეველა ახალი დროის პოეტებზედ, აკაკის სახელი უფრო მეტად გაერცელებულია ხალხში და თითქმის კიდევ და-

იმსახურა სახალხო პოეტის სახელი. ჩინოვნიკი, მოსწავლე, მღვდელი, ერთი, ყველა ერთ-ნაირად ეტანება ჩვენის პოეტის ლექსებს, ზვიბირად სწავლობენ და მღერაინ. მაგრამ ვისაც აკაკი დროების გასატარებელ მგონად მიაჩნია, ის ძრიელ შემცდარი იქნება. ჯერ ლიტერატურულს კრიტიკას არც ნიადავი აქვს, რადგანაც აკაკის თხზულებანი არ შეკრებილან და არ გამოცემულან და ადრეც არის, რადგანაც ძარღვი ჯერ კიდევ მაგრად უტეგს და ჩანგის ძირს დაშვებამდე, ჩვენდა სასიხარულოდ, კიდევ დიდი ხანი გაივლის; მაგრამ დრო მოვა, როდესაც პირ-მცინარი და ბედნიერი პოეტი ისტორიის პირუთნეველი სამსჯავროს წინაშე წარსდგება და ეს მოუსყიდველი მსაჯული, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, ერთს უპირველესთაგანს ალაგს დაუნიშნავს ჩვენის ენის გამშენიერების ისტორიაში. მკდაშვიდი წელიწადი შესრულდა, რაც აკაკი ჩვენი ლიტერატურის ასპარეზზედ გამოვიდა და ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის ყოფილა თავ-გამოდებული და დაულალაფი მესვეური. ამ ხნის განმავლობაში, ვიმეორებთ ჩვენ, აკაკი ყოფილა და არის კიდევ ის მგრძობიერი ტერმომეტრი, რომელიც შესამჩნევ კვალს სტოვებდა და სტოვებს ჩვენს ლი-

ტერატურაში. მინც აკაკის გზაზედ შესდგება, ის თავის სიცოცხლეში ვარდს ვერ მოიკრეფს და „სიტკობაზედ მწარეს უფრო მეტს დაჰლევს“, როგორც თითონ ამბობს, მაგრამ ეს კი უტყუარია, რომ ის ხალხი, რომელიც იმისთანა კაცებს ვერ წამოაყენებს, რომელნიც პირად ბედნიერებას საზოგადო ბედნიერებას ანაცვალენ, — დაღუპულია. მისაც თავის ნიჭი მართო ტკბილი ხმების ქლერაში გაუტარებია, იმას სიცოცხლეს ტკბილად გაუტარებია. მაგრამ აკაკი პოეტი-პუბლიცისტი, ყოველთვის დღიურს ვარამს შეჰხებია და ამიტომაც სრული უფლება აქვს სთქვას:

„ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე,  
სიტკობაზედა მწარე მეტი დაჰლეი.“

მაშასადამე, აკაკი სწორედ ის პოეტი, რომლის იდეალიც ჩინებულად აქვს დახატული მეორე ჩვენს წარჩინებულს პოეტს, ილ. ჭავჭავაძეს, ამ სიტყვებით:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,  
ვით ფრინველმა გარეგანმა.  
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის  
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა!“

ძალიან ხშირად თითქმის გენიოსი პოეტი პოეზიის ერთს რომელსამე ნაწილში იჩინს ძლიერებას და სხვებში მთლად უძლიურია. მაგ. წარჩინებული დრამატურგი ერთს უბრალოდ ლირიკურს ლექსად ვერ დასწერს. ლირიკოსი უხეირო მოთხრობასაც ვერ მოახერხებს და სხ. ან ჩინებული მიღიქსე მტკნარი უნიკო პროზაში და ან სამაგალითო მეპროზე სულ ჯაგლაგია ლექსში. რუსეთისა და მეროპის ლიტერატურა რომ არ შეგეწუხებო, ჩვენს ლიტერატურაშიაც არის ამისი მაგალითები: ბრ. მრბელიანის და ნიკ. ბარათაშვილის ლექსები სამაგალითოდ დარჩებიან ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ იმათი პროზა კი სწორედ რომ ბალღურია. მაგრამ ეს ოთხი უპირველესი მწერალნი ჩვენის დროისა, აკაკი და ილია სხვათა შორის, იმითი არიან შესანიშნავნი, რომ ლექსშიაც და პროზაშიაც თითქმის ერთ-ნაირს ნიჭის ძალას იჩენენ. შედარებით ილიასთან აკაკის კი უფრო ფართო სარბიელი აქვს და ყოველ მხრივ თითქმის ერთ-ნაირად წავარდობს. არც ერთი ნაწილი ლიტერატურისა არ მოიპოვება, რომ აკაკის თავისი მკრელი კალამი არ ეცადოს და თითქმის ყველგან ერთ-ნაირად გაუმარჯვენია. მანსაკუთრებით კილო აკაკის ლექსებისა არის სატირა (დაცინვა), მაგრამ აკაკის სატირას ერთი განსხვავებული თვისება აქვს. ეს არ არის ის მოშხამული ისარი, რომელიც მოხვედრის უმაღლე გლავს. აკაკი ტკბილის ხმით, დაყვებით გიტყუ-

ებს და შხამს ისე გასმევს, რომ ვერც კი იტყობ. მართის სიტყვით, აკაკის სატირა ცალის თვლით გატირებს და ცალის თვლით გაცინებს. ჯერ არავის იმდენი არ დაუცინია ჩვენის საზოგადოებისთვის (ჩვენში კი დარჩეს და უფრო მეტის ღირსნი ვართ, რადგანაც სასაცილო მხარე ერთობ ბევრი გვაქვს), რამდენიც აკაკის, მაგრამ მინც აკაკის უფრო ბეჯითად კითხულობენ და ზეპირობენ. მელას თავისი მახრობელა უყვარდაო, ნათქვამია. აკაკი იცინის, მაგრამ ვისაც მისი დემონური ხარხარი სიმხიარულის და სრული კმაყოფილების ნიშნად მიაჩნია, დიდად შემცდარი ყოფილა. თავისი სიცილის ხასიათი თვით პოეტმა ერთის მშვენიერის ლექსის შემდეგ სიტყვებში გამოხატა:

„ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, —  
ეს სიცილი ცრემლზედ უფრო მწარეია!“

აკაკის ჩვენის სცენის წინაშეც დიდი ღვაწლი მიუძღვის. მის კალამს ეკუთვნის შემდეგი დრამატიული თხზულებანი: ა) ძველსა და ახალს შუა, კომედია 4 მოქ., ბ), კულურ ხანუმ, დრ. 3 მოქ. გ), კინტო, კომ. 3 მოქ. დ), ბუთიაობა, ვოდეილი 1 მოქ. ე), რეპეტიცია, კოდ. 1 მოქ. და ვ), თამარ ცბიერი, დრ. 4 მოქ. ეს ორიგინალური თხზულებანი და ერთიც ნათარმანი მოლიერიდამ „სკაპენის ცულლუტობა“. „ძველსა და ახალს შუა“ და „რეპეტიცია“ ჯერ არ უთამაშნიათ სცენაზედ, დანარჩენებს ქართულს რეპერტუარში შესამჩნევი ალაგი უჭირავთ და მაყურებელთ სიმპატია სრულიად მოინადირეს; ნამეტნავად პროვინციაში ისრე წარმოდგენა არ გაიმართება, რომ „ბუთიაობა“ არ ითამაშონ. იმედი გვაქვს, რომ ახალი დაწერილი დრამა „თამარ ცბიერი“ იქნება ერთი საუკეთესოთაგანი დრამატიული თხზულება ქართულს ენაზედ.

X.

№...ს

რომ გრძნობდე ჩემსა მღელვარებასა,  
სულისა ტანჯვებს და გოდებასა,  
სიტყვა არ უნდა შემობრალებდი.  
ისმენდი მუდმივს ჩემს ვედრებასა,  
მოხედდი ჩემსა ლტოლვილებასა  
და დაგარწმუნებ არ წააგებდი.

\* \* \*

მითომ ჩემს ბედსა მწარე, უგემურს,  
ჯოჯოხეთურსა შხამშიდ არეულს,  
შენვე დაატკობ ღმერთს გეფიცები.

და დაკოდილსა, დაწყულულებულს გულს,  
შემგვანი ალით დამწვარს და გვემულს  
შენ გააგრილებ, მწედ გაუხდები.

\* \*

ოთ რითაც ვესუნთქავ, რით სკოცხლებს გული  
და რითაცა ვარ აღშფოთებული:—  
ჩემსა გრძნობებსა რაიცა სწამლავს...  
რითაც ვარ თავზე ხელ-აღებული...  
აჩის უზომო ღრმა სიყვარული,—  
შენ მყვარებისა გეფიცები თავს.

\* \*

ღიღი! მომიკალ შენ ქაბუცობა,  
შენ შიდ ვერ ევავე მე თანაგრძნობა.  
ზაპქრა ოცნება, წაწყმდა ფიქრები.  
ნეტავ არ მკონდეს საბრალოს ხსოვნა.  
ისმინე გვედრი ეს ჩემი თხოვნა:  
სიზმარში მიანც ნუ მეჩვენები.

\* \*

ნუ შხამავ, გვედრი, ჩემსა ფიქრებსა,  
მრთხელ ნათელსა, ეხლა ბნელებსა;  
ხედდე ჩემს ტანჯვას, გებრალეობდე!  
და უკანასკნელს მწარე წამებსა,  
სულს აღშფოთებულს, განაწამებსა  
სიკედლის ელჩად გაუხდებოდე!..

რ. აღისუბნელი.

პართული თეატრი ქუთაისში

ორი კვირის სეზონი

(წერილი რედაქტორთან \*)

ბ. რედაქტორო, ერთი ამბავი მინდა მოგწეროთ  
და თქვენ იცით და მკითხველებსა როგორ შესედავოთ  
მას. მეგონა რომ საქმეს შინაურულად გაარიბებდეს,  
მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. საქმე ეს გასლავთ:

გუშინს წინ დილით კერძო საქმისთვის ძმთა ჭი-  
ლაძეების საწიგნე მღაზიაში შევიარე. მივიხედ-მოვიხე-  
დე: კარ-სარკიელების და საწიგნე თაროების მინები  
სულ მიმსწრეულ-მომსწრეულია.

— ეს რა ამბავია შეთქი? ვეკითხები დასვლიდავს.

— არაფერი, ისე... ქარმა დაამტვრიაო!

\*) ჩვენ ოცმა დაგვიქვლით ეს კორესპონდენცია, მაგრამ  
რადგანაც ბ. მესხის გიცნობთ, სულ სხვა აზრისა ვართ მათე და  
ზოგიერთებში ვერ ვეთანხმებით წერილის ავტორს.

რედ.

— გა! ჩვენც აქ არა ვართ, ამ ოსურ ქუთაისში,  
რომ ეს ერთი ხსნის სიოხსაც არ დაუბრუნავს... ეს რა-  
ღაცა სსკა კრიგალის ბრალი უნდა იყოს და რად არ  
მკურნები შეთქი? ველანარაკები დასვლიდავს, მაგრამ მან  
მანაც არა თქვა რა. მერე იგოცსდეთ ვოკელივე შევიტ-  
ეთ. დღეს აქ, სვდ არ გინდა, იქ ლანარაკობენ აქაურ  
დრამატულ ამხანაგობაში მომხდარ ჯელ-მეჯასე. თურ-  
მე ნუ იტყვით, შემოხსენებულ მღაზიაში ერთ ამხა-  
ნავთავანს გ. მესხისთვის უხსნიდისო“ დაუქსნია. გ.  
სნიც ბუზივით მივარდნილა და განაღებულა თქვენგან  
მოწარმებული მუშტის კრივი, რომელსაც ის მისების  
ღაწა-ღუწინ ზედ მიქეოლია. ახლაც ეს ვივითხოთ: ქქონ-  
და თუ არა ბ. კუქურამეს უფლება, რომ გ. მესხი ეს-  
რეთის ეპიტეტით შეემკო? ამის გადაწყვეტა მკითხვე-  
ლებსთვის მიმინდვია და მე მოლოდ სქამეს ციამბოთ.

მოგესხენებათ რომ წარსულ თვეში ქუთაისში შეს-  
დგა ქართული დრამატული ამხანაგობა იმ განმარტვით,  
რომ თვეში ერთი-ორი წარმოდგენა გაემართა. მოღა-  
ზარაკებაში იყო, რასაკვირველია, ვოტე მესხი. ამას  
თითონ რომ ეთქო—მე ამდენი ფული დამინიშეთო  
შემოსავლიდამ და თქვენ ამდენი წაილეთო, ეს უტკა-  
ტობა იქნებოდა მისის მსრით. ამიტომ ერთმა, ღზად  
მისგან განდობილმა, ზირმა მიმართა მას: ოღონდ ვი  
შენ მიიდე შესს თავზე ამ სქამის მოთაგეობა და შემო-  
სავლიდამ მესამედი შენთვის დაგვინიშავსო და ვეღა-  
ნი შენი უურთოტორილი მონები ვიქნებითო. ბ. მესხმა,  
რა თქმა უნდა, მზად-ეოფა განაცხადა. ამხანაგობამ ბა-  
ტონად არა და რეკისორად ვი მიიღო გ. მესხი და მე-  
სამედიც შემოსავლის დაუნიშნა. ეს ერთი ზეტივისტება  
მისცა. მეორეც ის, რომ ზირველის ორი წარმოდგენის  
შემოსავალი მარტო მან ჩავივია და სარჩელი არავის  
განურსნებია. (ნოტარიუსისგან დამტკიცებული ზირო-  
ბა არავის ქქონია და ნამუსი სვლდა ამ შირიან დრო-  
ში!) შემდეგი წარმოდგენების შემოსავალი—ამხანაგო-  
ბის მორიგება ეს იყო—მაგკებრივი სისტემით უნდა  
განაწილებულიყო: სარჯს გარდა მესამედი, როგორც  
ვსთქვით, რეკისორს, დანარჩენი—ქაღებს სუთ-სუთი  
მარკისამეერ და კაცებს ოთხ-ოთხისამებურ. თუ ვინმე  
თავს გამოიხინდა თავისის ნიქია და შრომიით, სხრო-  
გადობა და ამხანაგობა ისე არ გამოხწვდებოდა, რომ  
მისთვის ბუნებისი არ დაეინიშნა და უსწორ-მასწორობა  
ამით არ გაესწორებინა... ამ გვარად განაწილდა მესამე  
წარმოდგენის შემოსავალი და თუმცა თვითონ თვითო  
მანათლე ჩაკლები სვდა, მაგრამ ვეღლანი უმდლიერნი  
იუქენ თვისის ბედისა“. საქმე რომ წყობილდა მიდიო-  
და, ამან სხროგადობაშიაც თანაგრძნობა აღიძრა და ერ-  
თის კვირის განმავლობაში ამხანაგობას ჟურ-ჟურობით  
გაუკეთა რვა თუმნის აზონიმენტი,—ისე, რომ გასვლა-

ლი უოველი წარმოდგენისთვის სწავლები შეიქმნა. ერთი სიტყვით სწავლე კარგა მიდოდა, მკვრივ ბ. რეჟისორს. აუტუდა სდარდელი ანტრეპრენიორობის (მე და ამასთანავე ვიბე-განსურტილელი კი გავწვეთ ანტრეპრენიორობას, აი!) ნატოვის მოყვარუბის და ეგებ გამდიდრებისა? (!?), და აქა-იქ განძანის მეტად ამაყ სიტყვებს: „მე ეს უნდა ვქნა, მე ეს უნდა მოვხელო, მე ეს უნდა დავადგინო, სულ მე და მე...“ სეუფედა ასლად ამისთანა კანც ცოტად რამ უფლებას სეღში, — მაშინვე ნაწაწყუნს სწავლელის მესამე განდებს...

რა მოსდა შედეგში? — დადგეს „არსენა“ და „დე-მონიანი“ სტენა. თატური მათეურებლებით ტესტდელი იყო. ეველეს ეგონა, რომ ანკურეფი სრული იქნებოდა. შესცინა მომიკვდე! სვიდეტი თუმიანიო. ენდო ამხანაგობად, რადგან მუქით მათეურებლების მოსწობას არ იქნა და არა სვეს თატრში. თამში გვარინათ კარგით წავიდა. მხოლოდ მშეკნიერი სტენა „არსენაში“ სომხის ტატარ-გვა კინდამ მილად წასდა და „დემონიანი“ სტენა ვერ იყო სეირინი გარეგანის მსრით. შემოსავალი ამ წარმოდგენიდან? — თუმიან კასირს უფლებას არა ქონდა, რომ სანახანგო კუთვნილებას ვისამე მანკიერს სეღში სეკვდა, თუმიან ის ვალდებულ იყო, რომ იფული ამხანაგობის კრებებს წინაშე წარედგინა და დადგინდობასამეპერ უნდა გეოთფილიყო, მკვრივ რეჟისორს იგივე მაუქვლანსებობას და მსანც იფული მისთვის სეუფობა სეღში. რეჟისორსაც მეორეს დღეს ვისთვის ერთი მანათი მიუგდა, ვისთვის ორი, ვისთვის სამა, ერთისთვის, რომელსაც ორ-სიტყვიანი როლი ექნება და ისიც ტან-ფუქან — მისთვის ცხრა მანათი კანკიეებით მაუცია, სეკუბისთვის კი სრულიად არაფერი. სსვა აღლასმა უწეის სხდ წაიღო! ანკარიმს არევის აძლეეს და, რა თქმა უნდა, კაცი ექვში შესვალ... ერთი სიტყვით გ. მესხის ტან-ბრიფას აბრინებტმა, არა სეუფელებითა მათეურებლების (თუ არ შემოსავლის) საბუკრემ, ნატოვის და მათეორობის მოყვარუბამ და სწავლის ურიგო სწავლე, წისლი დაკრას ამხანაგობის მორიგებას და ეველესი უფლებას თვითონ მიითვისა. დესპოტობს, ქევირის, ილანსედა, მუშტრებზე იფურება, ვისაც კი დავანსებს... რად თავი შეგწვიინოთ, ამხანაგობას თავი მობეზრდა და დავიშალა. შერჩა გ. მესხს ერთი ქალი და ერთი კაცი, ისინი მისი ასლად ნათესავეები... სლად დადის აქა-იქ და ეუბნებს მოთამაშეებს: სუთ-სუთ მანათად გამირიგდითო თვითო

გამოსვლასზე (რადგან კი ამბობს: თუ შეიკვდა, მოსტეკი, თუ არა და... სომ იცით), მკვრივ ასე ეუბნებინა: შესთან განსარიგებელი არა გვაქვს-არა, სვეს ძროსები არა, ვართო, რომ სეგვას სანული, მოკვითრიო და მერე წავკვსნა და გავვიშვაო... ბ. მესხს ავიწყდება, რომ სეგნი თატრი სვენივე სათატრო სეკლას. როგან ამხანაგობას და ერთი და იგივე ზირები იქნებინა, ისინი ტან-წკრთვებინა და მომავალში იმედა, რომ გამოდელი მოთამაშეები შეიქნებინა. უოველ წარმოდგენასზე ასლ-ასლად მოთამაშეები რომ იქმნენ, რას ივარგებს? აი სხდ ეგულებს ბ. მესხს ეს მსხარატისტი, რომ დაესხოს და მოიფანოს, ტანთავოს და გაუშოს! ამიტომ ეუბნება მას ამხანაგობას: სვეს გვიდაო რეჟისორი და არა ბატონი და დესპოტი, არ გვიდაო არც თვით ანტრეპრენიორი, რადგან ვიციოთ, რომ შრომის დასავიდელოებელი შემოსავალი არას დროს არ იქნება ამ სვეს ნატარა ქალქში, თუ ამხანაგობას სსვა რამ არ სხლდისესო. გ. მესხს კი ეგონა, რომ აბრინებტს თუ ადგენენ, სულ მისის გულისთვის, თუ სწავლე კარგად მიდოდა, ამის მიხედვით თითონ იყო (თითქო წინა წლებში რომ წარმოდგენები იყო, ამასზე წალები იყო). ერთი სიტყვით, როგორც ამას წინათ დავკენებით წარმოასთქვას „თატრში“ ქუთათურმა მქატინებ, რომ სეკრე მესხი კვი სქეობრიო და ვინათ სწავლის გამართველი როგორი იქნებაო, ეს აისსნა. ვინათ და დავრწმუნდით კიდეც როგორია. სსვა არა იფოს რა, რეჟისორათაც არ გამოდგება იგი, რადგან არც ერთს ქართულ როლებს არ თამაშობს და ვერც თამაშობს; მსხანადამე, რაც შენ არ გეხერხება, იმას ვერც სსვას გაუსწორება. იგი მოსწონთ თარგმნილ ზეესებში და ე. წ. ცივილურ როლებში (მე ზირათ მეონის აქაც აწარბებს და ეველას ვერობიელი ცოფიანებად გამოჭყვს). ამიტომაც დავუჩინა სულ თარგმნილი ზეესების დადგმა სეგნასზე. მას რომ რომელიმე ტიპი მოსწონდეს და კარგათაც თამაშობდეს, სსვა?... ან სსხოვადლებს რაში ექნაქება ეს? ინტელიგენციას სსვანანც და უკეთეს აღლასს უნახავს იგი და დასაღ ხლესს არა ესმის რა მისა. ხან-ღან-ხან, რატომ არა, შეიძლება... მარამ რად დადგება სსწირო, სწავლე წამსდარია \*). ასლად რად დავკრებინა? სსვა რამე უნდა ვიფიქროთ.

ქუთათელი.

\*) ბ. მესხს რადაც სსვა სწავლე გამოსტეგობია ამ დღეებში და თატრისთვის ვეღარც კი მოიცდის... ბანკში დამფასებლად ჩაურიცხავსო.

ს ი მ ლ ე რ ა

(მთაიუღურა)



თას იქით მთვარე ამოდის,  
მთას აქით ნისლი ედება.

ზზა აჩუღი დადივარ  
და გუღხედ ცეცხლი მედება.  
ქლდეს სად რა გადავარდები,  
შარნები დამესხმიათ;  
მას ვეღარ ჩავეკონები,  
მისთვისაც ტრემლნი მდიათ!  
ქლდევად ჩამორბის ნაკადი,  
მორბის და მოიმდერისა,  
მაჰმე რო გული მიცვდება  
ჯვარა მიმყვება მტერასა,  
ქური დაუგდეთ კლდას შვილებს,\*)  
როგორ ამაყად კვიან...  
შენი სახლობა ქორწილობს  
ჩემი ობლები ტირიან!..

კაჭა-ფშაველა.

(იბ. სირვი-  
ფელტონი ი. ვაჟა)

ე ღ მ მ ი

(ეპიგრაფი)

ქვეყნს ეღმეო და ხალსი ანგელოზები, ეუბ-  
ნებოდაც მაროს ინსტიტუტში და მასაც  
სუეროდა. ბუერი ერის მის ამხანაგებში ავიც, წუწვიც,  
მეგრამ ინსტიტუტი მისთვის არის რომ გაფუჭებული  
გაკეთოს და ედემისკენ ფართა შესხმულ ანგელოზით  
გაისტუმროს. თვით აღმზრდელებშიც ბუერი იყო ეშმაკ-  
ზედ უარესი და აქადის კი გვარ სწავლებოდა მის  
მსკვლობას.

კარგი ქალიც დაღვ ჩვენი მარო. ახალი კნები  
იცოდა, ფორტმანას უარედა, კარგად ცეკვავდა. თავის  
დაკვრა, რევერანსი, ერთის სიტყვით ვეველაფერი ასწავ-  
ლეს, რაც კი მის სიცოცხლისთვის უსაჭიროესათ მახნ-  
დათ. ასე გასისკვით, ფიჭრითაც კი ინსტიტუტურათ ფაქ-  
რობდა. მარო არ შეიტყვევინდა არც თავის თავს, არც  
სხვას „განსილებულ“ სასოგადოებაში.

განსიება გურსი და ობოლმა არ იცოდა სხდ წასუ-

\*) ფრინველებს

ლიყო, ამ ედემში სად, როგორ ეცხოვრება? მეგრამ აქაც  
უშველეს: ერთს ოჯახში გუგუნინსტობა აუხინეს და სჯე-  
მით დამტყვიცეს, რომ ედემში მსელი არაფერი არის.  
აქ სჯემე სულ არა ჭკონდა-რა, მსოლოდ ერთს პატარა  
ქალს ასწავლიდა, პოლკებს და ვალსებს უარედა და და-  
ძინების წინ რამდენიმე ფურცელს წაიკითხავდა სოლმე  
რომინასს. ხშირად გადასედავდა სოლმე მას სახლის  
პატრონი ილია დავიდინი სუქვეო თვალთ და მის ცო-  
ლი ანეტა, თითქო ყურს უგდებო, შეუბღვერავდა სოლ-  
მე ილია დავიდინს. ამას მარო კერ სედავდა და იყო  
უღარდელათ, უფაქრებლად, დლე-დღეს მისდევდა და  
თვე თვეს.

შუღამე მოტანებული იყო, რომ ილია დავიდინი  
მოკვდა შინ (ცოლ-ქმარი სტუმრად იყენენ) და პირ-და-  
პირ მაროს ოთახში შეკარდა. მარო გაჭკვირდა მის და-  
სასვავედ თავის ოთახში.

— რა მოხდა, ილია დავიდინი, გნებავსთ რამე?

— მე? მე თქვენთან მოვედი... ვეღარ გაქმელი  
უთქვენათ.

— რა გნებავსთ?

— თქვენთან ყოფნა მინდა, მარო, თქვენი უფრება,  
იმ ჭკურით მინდა დავსტუბე, რომლითაც თქვენს სწით-  
ქავთ. ნუ თუ ვერ სედავთ, მარო, როგორ ვიტანჯები?  
ღმას გავეიუდე და ან კი გიუი არა ვარ? მე არ შემიძ-  
ლიან უთქვენოდ ერთს წამს გაქმლო, მე მინდა სულ  
თქვენთან ვიყო, სულ თქვენს გსედავდეთ, სულ თქვენი  
სმა მესიმედეს... დავიწვი, მარო, დავიტანჯე! შემიბრალე,  
მომარჩინე ამ ცეცხლს... მე მიყვარს და სსვა ღდა  
გიცირა, არაფერი! მიყვარს და შენ ჩემი...

ილია დავიდინმა წინ მიიწია; მას ისეთი აღელვება  
ეტუბოდა, ისეთი მსეცურე სურვილი გამოხატოდა სა-  
სედავდა, რომ მართლაც საშინელი რამ იყო. თვლები აღ-  
ვსნებოდა, მთლათ თრთოდა და თავს მღიკ-ღა იმეგრებ-  
და. მარო? ჩკარდინილი, თვლებე გასტურებული შესტე-  
რდა ილია დავიდინს, თითქო არ ესმის რა ამბავია მის  
თავსათ. ან რა ინსტიტუტა იქნეოდა, რომ ზარეკელი  
მტნება დავიწეებოდა თავის ღზრდისა—გაცი რომ დი-  
ნასო, შემადიო. ედგა გასტურებული და მამინაც კი  
ვერ განმჩა, როდესაც ილია დავიდინმა ერთის ნასტო-  
მით სტაცა მას სელები და ცხარეთ, მსეცურათ სევენ-  
კონას დაწეო. სწორეთ ამ დროს შემოკარდა ანეტა.

გადუარეს მაროს ბარგი და დაგვეტეს კარები.

შეორე დღეს ბუღვარზედ მარტო-ტურნიუროსანმა  
დანასა ირეკლე-ტურნიუროსანი და მისაღმების მეგე-  
რად—გაიკეთ რა მოხდა? ჭკიისა.

ეს კითხვა ისეთი გილოთი იყო ნათქვამი, ირეკ-  
ლე-ტურნიუროსანმა მამინე იტონო, დიდი ამბავი  
მომხდაო და საშინელი კითხვითი გაკვირება გამოი-

სატა სასეკედ. დაუწყო მარტივ-ტურნიეროხანმა და დაწვრილებით უამბო — მაროს ილია დავიდინი, — საწყალი ასეტა! — ისტიტუტშივე სცნობია; ასეტას, ახ, უბედური ასეტა, თავის თვლით უნახავს და სხვა-და-სხვა. ამ ამბის დროს მსმენელის სასე სან ფურისის მრისსანებან გამოხატავდა, ხან მტრედულ მორცხვობას... მის უმანგო სულს ალექვებდა ეს ამბავი.

საღამოსედ სომ საშინელი ამბავი მოხდა. შუეკი-ლიეო ერთს სასლში ორმოცამდე მანდილოსან-ტურნიეროხანნი და დიდი ბრძოლა ჰქონდათ, სიტყვიერი. მანდილოსნები ამტვიცნებდენ მაროს ქალი ჰუოლია და დაუსრ-ჩვიაო, ტურნიეროხანები — ვაჟი — და ცოცხალი დაუშინ-სავსო. შუადამე დიდის ხნის გადასული იყო. ქმარ-შვილი ვიღას ახსოვდა, რა დროს კერძოობა იყო, რადე-საც საქვეყნო კ-თსკას სავაჟდენ და მეტე რა ცხარეთ, ბეჭის გამოუვიდა ოფელი და მის მოწმენდადის თეთრ-წითელი — ახლა შავ-უვითლად დარჩა. ბევრი ითქვა ერთ-მანერთისთვის მწერე, ბევრი მათრასები გადაიკვრა და და შეიძლება სიტყვიერი საქმიერთაც შეეცვალად, მკ-რამ ამ დროს შემოკარდა დილანდელი ირგვლივ-ტურ-ნიუროხანი და დაიყვირა:

— რას ამბობთ, ქალებო, იმ სასელ გასაწვევტს ქალ-ვაჟი ჰუოლია, ტყუში. მე ჩემის თვლით...

რა მშვენიერი სურათი იყო ამ სიტყვების შემდეგ! მანდილოსნებმა ტურნიეროხანებმა მიიღეს და ქა...ო! წარმოსთქვეს, ტურნიეროხანებმა ტურნიები აიპრუწეს და fi done-ო და დიდი ხანი შესტკროდენ ერთმანერთს განცვიფრებულნი, რატომ ადრე აჩ მოგვკატანდა ეს გა-რემოებაო!

ჩვენი მარო წავიდა თავის ნაცნობებთან და მსწავ-ლებლებთან — ჩემს დარდს შეეჩივლებ და შეელას ვისთხო-ვო, მაგრამ არსად მიიღეს: შან არ არიან და თქვენთვის არც როდისმე იქნებიანო. ბევრი იარა ამის შემდეგ საწყ-ვალმა ედემში, — ბევრს ეკედრა, საქმე მომეცით, შამში-ლით ნუ მომკლავთო; მაგრამ ვუვლავ ერთი პასუსი იყო: ემწვილი ქალი ხარ, ლამაზი, რა საქმის გაკეთება შეგიძლიან, შენ ერთი სთქვი და სულ ოქროთი გა-გაკლებო.

ჰკარავს მარო, ჰკარავს ცხვირსასოცებზედ ასოებს და თავლ წინ თავის უბედურება უდგას. ჰკარავს და თან შამშილი აწუსებს. ღმერთო, რა საშინელათა შან!.. როდის გათავდება ეს საქმე, რომ ჰური იუიდას და ჰურით, ცარელი ჰურით გაძლეს, მთელი დღე და ღამე აჩ უჭამიარა. თითქო გული ეწვის შამშილით... აჩ, ეს სეგლის ბრალა. ცდალობს სხვაზედ იფიქროს, მაგ-რამ ჰურით თავდება ვუვლავ ფიქრა. იკონებს ისტიტუტ-ში ცხოვრებას, წასრულ ბედნიერებას; იკონებს თავის სინდელქს, მწერე, მწუხარე ღამილი მოსდის და გული

უკუნის. ერთი ნაცერი ჰური რომ იეოს, გულს შე-მაგრებდა... ღმერთო! რათა, რისთვის, რა დააშავა? ცრემლი მოერი, ცრემლი უბრლოდ დაჩერულას, უველ-გან განკიცხულის, შეეცნებულისა. სტიროდა საბრლო და აჩ ამტუეუქებდა აჩვის. სტიროდა წარსულს, სტი-როდა თავის სასელს, ბედს, ობლობას, განცრუებულ იმე-დებს. თავის თავს დასტიროდა. ფეს-ქვეშ საშინელს, თვალ ჩაუწვდენელ უფსკრულს სედავდა და შიგ უბედუ-რებს, ტიტვებს, კანობრიულ გარსობას მოკლებულებს, რაღაც ქმნილებათ დადაიანის სხით. სედავდა, რომ თი-თონაც ნელ-ნელა ამ საშინელებისკენ მიელტვოდა. სე-დავდა, რომ მისი ბოლო ან თავის მოკვლას იყო, ან ცოცხლად ამ უფსკრულში დამარსვა და დასტიროდა თავის თავს. უნდა შეიძებარიყო, აფათურებდა სელესს, მკვრამ მის სელს არავინ აწვდიდა. ან ვინ მიეკარებოდა გარევილს, ცოფვილს? რომ მისცხებოდათ რამე!..

ერთბამდ შესდგა, შეაშრო თვლები, სტეცა რამ-ღენიმე ცხვირსახოცს სელი და ჰური მოიტანა. უნამე-სობას ქურდობაც მიემატა.

უუუებდა გაშტერებული ჰურს, უნდოდა ეჭამა, მაგ-რამ რაღაც თრთოლამ აიტანა, კანკალი დააწვებინა, თით-ქო მამი იყო მის წვალება, მის უბედურებას მისეზი, თითქო შსამით და ნდევლით იყო სავსე. შემდეგ ერთ-ბამდ შერის გადასროლა აქამდის თვის სანატრელი ჰუ-რი და გაშტერებული, გაშეშებული იდგა შუა ოთახში...

სეკუტავი.


„თეატრის“ კორამსკონდენსია

დ. ჩინაბაშრი. ვ ნოემბერს, ქართული სცე-ნის მოევარე ზირებმა გამართეს დ. ჩინატაურის სკოლის სადგომში ქართული წარმოდგენა. წარ-მოდგინეს ორ-მოქმედებიანი კომედია თ. გ. ერისთავისა „მუნწი“ და თ. ა. წერეთლის ვო-დევილი „ბუტიაობა“. ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო, მაგრამ წარმოდგენამ მაინც 45 მან. წმინდა შემოსავალი დასტოვა, რომელთაცან და-ნიშნულებისამებრ 15 მან. გავეზუნა აყენის სოფლის სკოლას, 10 მან. ბასალეთისას და დანარჩენი 20 მან. დარჩა ჩინატაურის სკოლის სასარგებლოდ. ვინც დაესწრო, ძლიერ კმაყო-ფილი დარჩა, ასე რომ შემდეგში ამ ცვარი წარ-მოდგენა მეტს იმედს გვაძლევს.

შუბნელი.



თბვ. სკსვი წებეთელი.



# წვრილი ამბები

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ბ. ალ. მირიანაშვილს შეუდგენია მოძრავი ასოები ოჯახში სახმარებლად. როგორც ჩვენმა საზოგადოებამ უკვე იცის, ამავე ახალგაზდა პედაგოგმა ამას წინელ შეადგინა სასკოლო მოძრავი ასოები, რომლებიც ახლად შედგენილი ასოებისაგან სიდიდით განირჩევიან. ახალი ასოები ცალკე სახმარებლად იქნება. დაბეჭდილი და კუბიკებზედაც გაკრული.

ეს ამბავი მით უფრო. სასიამოვნოა, რომ ამ გვარი საქმე პირველად იდგამს ჩვენში ფეხს.

20 ნოემბერს, თბილისის თეატრში გამართული იქნება კონცერტი პირველ კლასიკურ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთათვის რომელნიც წელს ათაყვებენ კურსს. ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ რუსული ოპერის და დრამატული დასის არტისტები. ბილეთების ყიდვა შეიძლება ყოველ დღეს გიმნაზიაში და კონცერტის დღეს თეატრის კასსაში. იმედია ხალხი ბლომად დაესწრობა ამ კონცერტზე.

# ნ ა რ ე გ ი

ჩვენ აუზღიბისტავს \*)

„მოკეთეს პირში უძრავ და მტერს პირს უყანა.“

ზნაოლოგის მაგიერ

ზოგნი რთულად მოვიხსენო, ზოგს მარტივად ხელი ვახო,

ითითო რამე ყველაზე ესთქვა, შესაფერი გამოვინახო,

\*) ჩვენ მივიღეთ ორი ლექსი სხვა-და-სხვა პირიდან: პირველი, რომელიც ამ ნომერში იბეჭდება, კელონის თბილისის ერთს სასტუმროში მოსამსახურე ბიჭს, მეორე ერთს ლიანვის პირის სახალხო პოეტს, საზოგადო ხასიათი ამ ორივე ლექსისა ერთი და იგივეა. ე. ი. ორივე მეღვინეს მოუწადინიათ საჯირის საგნად გაეხადათ ჩვენი საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწენი, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველს აულია საზოგადოთ ცნობილი პირნი და მეორეს პროვინციის ჭკუის კოლოფნი. ნაკლულევანება, რასაკვირველია, ორივეს ბევრი აქვსთ, მაგრამ რადგანაც სალი საჯირის კილოს მოკლებულნი არ არიან და მასთან გვესურს ჩვენს მკითხველებს ნიმუში გაჩვენოთ, როგორ სწორედ ჩვენში არა-ნაფიცი ლიტერატორები, ამიტომ ვაძლევეთ ადგილს ამ ლექსებს ჩვენს გაზეთში.

როგორც შევსდლო მათი ქცევა—სინამდელით გამოვსახო, პარგი უძღვით ვაღვიარო და სისუსტეც წამოვძახო.

ი. ჯ—ს.

ლეტარგიულს მინარეს ჭგავს, ღარ გვემის მისი ქშენა,

თითქო მუხას კმალოდეს, არ უნდოდეს თავის ჩენს. „ბანკობასეუდ“ გაიღვიპეს, მაშინ აესხნება ენა— მანამდის კი ჩუმად არის, აივრძალა ვისმეს წვენს.

„გლახის ნახამობი“-ს ავტორს კვლავც მართებს რამის წერა, ჩვენ ვიცით რომ მის ნაწერებს ზედ ეტყობათ ნიჭით მსერა,

გითომ აზრი შეიწვალოს, კეხელმს სთქვა: „ზან მკერა“, აგაკო ეახლის“ დაშწერმა „განდევლით“ გაახერა!

ა—კის.

სხვათა შორის, ბრძანეთ თქვენა: „ისიც მიყვარს— ვინც კი მძულს!“

გეთანხმებით, თქვენი გრძნობა ესწორების ციურს სულის; ანგარიშით კი გამოდის, რომ მალამოს აძრობთ წყელულს; ახალ-ახალს თუძვს სწყალობთ, ძველიდგან კი იყრით გულსა.

თანამშრობლობით თუძვს ყველგან, მაგრამ მოკლეო, არ ხანგრძლივით, დაკვირვებით აღტყნებით, მიგატოკვებთ კი გულ-ცივით. ზოეტათ კი ზირველი ხართ, ლექსებს სთსუწავთ ტკბილს და მწკრივით, საზოგადოთ თქვენსაც ვიტყვი: სამშობლოსთვის გული გტკივით.

ბ. ე—ს.

უსურვესი ზოეტია, თუმც ვერ ვიცნობ მე ვერ ზირად, მაგრამ მისი ნაწერები წამივითხავს ერთობ სშირად. თითქო იჯდეს გლესის გულში; სიტყვებს ამბობს გულ-სანგმირად, გლესის ყოფას კარგად ხატავს, ღსინს-ღსინად სცნობს და ჭირს—ჭირად.

გ. ო—ს. ვ. მის.

ზირველ იყო მეომარი, კვლავ ზოეტი ძრეულ კარგი, წარსულისთვის სასარგებლო, აწმეოსათვის ფირად მარგი, მომავლისთვის, რითმის წყობას მოუძატოს ერთი დანგი; სხვა მხრივ იმას არ აკლავ არც გამოთქმა, არც ჭანგი.

ი. მ—ს. ი. მის.

დირ—ზე კერას ვიტყვი, რედ—ზე ცოტას კი ჭო, არ იქნება რომ არა ვსთქვა, მიიმე სქემის ხელი მიჭო,



„დრ—ისა“ სათაურში გაუმჯობესებას ვი ჰქონ  
და შინაარსს რაც ესება ისიც მოსწონ, რაც რომ იყო.

დ. ე—ს.

საკუთარში არ მანახავს, ნასესხებში არ აქვს წილი,  
(მე სხვის ნათქვამს ვიშორებ; არც მათ უთქვამთ გაცემტ-  
ეუნი)  
ცოტას გადავტოვებ, არა უშავს, მზარად ჩუნი;  
„აფატიონ“-ს კონტროლზე და დახორცი ბლამათ  
უნია.

ჩემგნით ვი არ ვამომდგარა არც გაცილებია,  
არცა ქება,  
რაც რომ თქმულა სხვისგნით, „პროზით“, რომ გავ-  
ლექსე, ხომ მაქვს ნება?  
თუ რომ ვისმეს ვაწყენინე, ბოლავს ვინღი, სხვა  
რა მზრება,  
რთულათ უყვედ ჩამოვთვალე აწ მარტივად ერთა  
წყება.

რეგანი მშრომელის იონა მეუ—გია,  
დავ—თ სოს—ნი სულ სტდილობს, რომ ვისმის მოსტ-  
სოს უსტია,  
უმი—ღის აზრეკტი სექსევედ არვის არგია  
და ვ—რ მ—დე არსიყობაში კარგია,

მთიულთ და მოსკეთ აწრას მოხ—ქემ ისება;  
გიორ—ი თუმ—სა სეტაი სედ ეპინება;  
სასტილმდის მიადწიკს დუ—ძას ამოჟინება;  
ვიცოდეთ ვო—შეიღმა თუ დაიშალა განება.

რომ ბანკებს მოაქვით სარალი, ფურ—ქე გეგანს  
მთქილია,  
ნავ—ქემ შემოსავლს მაგრად ხეკიდა სელია,  
სამეკ ტასის ადგია ვა—გო წე—ლია,  
ევ. მუს. ბა—სა ღამის მოსტესა წელია,  
სანდრუა ბიჭი.

ცნობები ძველის

### „საქართველოს გაზეთიდან“

ნოემბრის 8 დღეს, ჩეით წელსა თვილისში.

### № 36.

ბამოცხადებანი \*).

ბუნებობისაგან ყვაილისა მოკედების მკათედი ნა-  
წილი მათი, რომელთაც კტირებთ იგი, გარდა ამისა  
იგი ფრად მრავალთ უსსო ჰქოფს.

\*) იხილე „თეატრი“ № 11.

აჭრილისგან უმწილთ ყვაილისა მოკედების კრ-  
თი კაცი თასასის კანთიგან, იგი უსსო ჰქოფს რა-  
მელთაჲ, ძეიარად და ფარავს შეორისა ყვაილი აქს  
კტირეთ ვათარ ყვაილარა მროსას; იგი ოდესჲ იქსი-  
ბის ვადრელა მომ. კვედ. სეველცა.

წინაღმდეგ მისა ყვაილი მროსისა არავის უსსო  
ჰქოფს, რიცხვი მათი, რომელთაც შემდგომად შეეკრე-  
ბათ ჩვეულებითი ყვაილი, იქნებას იფრად უმტირეს რიცხ-  
ვისა მათისა, რომელნიცა ახებენ შეორის ყვაილისაგან  
შემდგომად აჭრილის უმწილთ ყვაილისა.

ყვაილი მროსისა შეამტირებს სიმასვილესა გ... სლსა  
ჩვეულებითი ყვაილისა ნაუთისას კტირეთ, რომელ გარ-  
მისობას შინ ოცისა წლისას, უკველას შინა დროსა  
მროსის ყვაილას აჭრისას, ძველსადმე შენიშნულ არიან  
ღრნა კრსეთი შეისიკვანა რათმცა ბუნებითი, ყვაილი  
გამოჩნილი შემდგომად მროსის ყვაილისა უოთვილი-  
ელს მომავკენისებელ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

### აღორჩეული ასრეი ჰენესი, ხელთგნების შესახებ

### ხელოვნება

(გაგრძელება) \*

ხემეტი თეატრში იმიტომ მიდის, რომ მსახიობთა  
(არტისტების) თამაშობას უცჭიროს და იმათი ღირსე-  
ბა დააფასოს; ფრანგული ვი იმისთვის მიდის, რომ  
ვიესა ნახოს და შთაბეჭდილება მიიღოს. (6. 181)

ფრანგული მსახიობნი მთელს სმელეთსედ უკე-  
თენნი არიან. ყველა ფრანგული დაბადებითი მსახიო-  
ბნი არიან. სვკ-და-სვკა როლების შესრულება ადვილად  
შეუძლიან. (6. 202)

ქამლეტს, რომ სულ მოკლეობა არ შემხნოდა,  
როდესაც იგი მსახიობთ ელანარაკება, შეისწავრო გარეს  
თეატრადურს კრიტიკოსად სეტკას. (3. 176)

როდესაც კრიტიკოსს თაღლებში ცრემელი აქვს მო-  
რეული, მამინ იმის აზრს ძალა აღარ აქვს. (6. 149)

სურათის დამხატვა, მსატერები, შეიძლება ორს  
ნაწილად გაყოფს: პირველ მსატერთ საკვირველი თეი-  
სებასი და ნიჭი აქვს, რომ იმათ დახატულს სურათსედ  
გარეშე პირს შეუძლიან შეამჩნიონ, თუ რა სსათის  
არტიგანლია, თუმცა ვი იმას თავის დეჲში თეადით არ

\*) იხილე „თეატრი“ № 12.

განუვლია. როგორათაც გოლბუენი, ტრინიანი და ვან-  
დაივი. ჩვენ შეგვიძლიან შემოგვიტოვოთ, რომ ეს სურ-  
ბები მკითხველს წააგვასან არიგინალებს, თუმცა ჩვენ არიგინა-  
ლებს არ ვიცნობთ. მეორე ნაწილი სურათის დამსტავი  
მსატრეებისა: — უმეტეს ნაწილად ინგლისელი და ფრან-  
გულელი მსატრეების დანატრული სურათი განიხილეს  
მაჟმედოვს; ისინი გვაძლევს საშუალებას ავლილად გა-  
ვავოთ ის კაცი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. (6.120)

რომში წადი და აქ გონებით ისე აღმადღებო,  
რომ რაფაელის იდეალის შეგნებამდის მისვლა. (2. 42)

გორას ვერსეს, საფრანგეთში ზირველს მსატრად  
რატხვენ. ჭეშმარიტად, რომ ზირველი ნაციონალური  
მსატრის ეველას საფრანგეთის მსატრებში, ის ეველას-  
ზედ მდლას სდგას ნყოფიერის ძალით; რადგან დემო-  
ნორი თვისებისანი არიან იმისი სურათანი, რომელნიც  
კაცს მრავალს სასიამოვნო ესტეტიკურს გრძობებს უა-  
ვიძებენ. მსატრება და ის ერთად არიან მუვიდრის კა-  
შირით შეთვისებულნი. მე გონიან არც ერთს სახელ-  
მწიფოს არა ჭევენდეს იმოდენი მსკდარნი, რამოდენიც  
სურათები ვერნეს დაუსტავს. ის კაცი რომელიც მ-  
გისთან საზოგადოებაში შედის, — ბევრი ენატია,  
თუმცა შემთხვევით, ის გენიოსი არ არის. (1. 165)

გილანდიელი მსატრანი ინსტინტი, ჩემის ახრით  
რაფაელს არაფრით ჩამოაჩევა, მაგ ახრს მამის გაცე-  
ბენ, როდესაც გაჭეობა მწუნარების დღეი და დღება  
ის წმინდა ნეტარება, რომელიც შავს საოხელს ანდის  
და ნათლად დანასკებს ახლს ქვეყნას ფოველივს ჭე-  
მარტებით და დიდხანს დამუნჯებულნი ბულბულნი აღ-  
ტაცებით გალობს დაწევენ; მკრამ ანც ერთი ბულ-  
ბული ვერ იგალობებს ისე მინარულად, როგორც კი  
ინსტინტის ჭეატავდა. ინსტინტისთანა კარგა არც ერთს  
არ გაუცია, რომ დედა მიწის ზურგზედ განუწყვეტილად  
ყოველი ერი უნდა იყოს. ჩვენი სიგორისლე ევალივანი  
დმერთის კაცნას. (7. 68)

მუსიკა, როგორათაც ახრების დამოკლინებების შუა-  
მავლია, აგრეთვე ტორცისა და ხატის შუამავალიც არის  
რადგანაც დროთა ვითარებას წყალბობით დანემოულს რო-  
მაელს დამარჯი კერძალეობდათ, იგინი მუსიკაში ხ-  
ტავდენ თავიანთ სასოწარკვეთილებას, უღონობას, წარ-  
სულს მწარე დროებს, მკვლითად, როგორათაც განმო-  
დი და არისტოტილის ივენეს. (2. 33)

ფორტოინო თუმცა ჩვენს განათლებულს საზო-  
გადოებაში მიღებულია, მაგრამ იმისი უგრძობელი არ-  
სიზროლია უკული სმები, კაცში სრულიად ახრს და  
გრძობასა ჭკავს; იმისი სმები გვანდუნებენ, გვასუ-  
ლელებენ და უახრო ანდაუნდას გვსიან. (6.263)

სკრინკას ნამდვილი კაცისვით მოამართულობა ჭკეს,

იგი დამკურელთან გრძობასთან სიმნატორს განწყობი-  
ლებასი არის. რა სმასაც უერავს, იმ სმის შთანუქლ-  
ლებას დამკურელის სახესუდ ვითხულობთ. (6.263)

მეიერბერის საშისელი ხასტივი მტერია ეოველივი  
უსიერო სმები წყობილებას. ის მხვდ არის თავი შეს-  
წიროს ერთს მუსიკალურს ფრანსს, როგორათაც სხვა-  
ნი რეჟელისთვის თავს სწირავდენ. თუ რომ მეორეთ  
მოსვლის დროს ანკელაშმა კარგათ არ დაუგნა მეიერ-  
ბერი არა დგება. (8.172)

ივ. ჯავახიშვილი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

შემოთხილი სიევარულისკან \*)

დ რ ა მ ა ს უ თ ს ა ქ ტ ა დ

თხზულება ღონ მანუელ ტამაისი და ბაუსისა.

ს ტ ე ნ ა III.

(შემდეგ \*)

იზინივი და მარლიანო.

მარლიანო. მე მსურდა თქვენი ნახვა, აღმი-  
რალო.

ღონ ალშარი. (აღმირაღს) მე ეხლოვე მიგატო-  
ვებთ თქვენ, მაგრამ წინათვე გიხოვთ მის დიდებუ-  
ლება დედოფალთან მომიხერხოთ აუღიენცია.

ალშირალი. მე ეცდები აღვასრულო თქვენი  
სურვილი რაც შეიძლება მალე, შეიძლება დღესვეც.

ღონ ალშარი. მითი საათის შემდეგ დავბრუნ-  
დები სასახლეში (აწვდის ადმირაღს სელს და წასუღის  
დროს თავისთვის აშობს). ბოლოს კიდევ ეიხილავ  
მას! (ცადის შუა კარბიდგან).

მარლიანო. მხლა დედოფალთანა მკონდა ლა-  
პარაკი... ტყუილი იყო ჩემი რჩევა—იგი ვერ დავი-  
ყოლიე აქ დარჩენაზე და მეფის მარტოკა ბურგოს-  
ში წასვლაზე. მცადენით—აგება თქვენ მიანც დი-  
ყოლიით.

ალშირალი. ნუ თუ თქვენც დავარბევს და  
საჩუქრებს ელით.

მარლიანო. მე მსურს გავკურნო ჩემი  
უღიდებულესი ავად-მყოფი. მეფესთან იგი ბევრს

\*) იხილე „თეატრი“ № 12.

მიზეზს იპოვნის იტანჯოს და ივალალოს, როდესაც მარტოობას შეუძლიან კენესა გულისა შეუსუმბუქოს. ძაცის გულს დიდი სიხარულის დროს უყვარს ჩოჩქოლი, მაგრამ დიდ მწუხარებაში კი მას მოსვენება უჩიენია. მარტო მოსვენებაში და მარტოობაში ზეცა ასხურებს ტანჯულ გულს სიხარულით.

**ადმირალი.** მაშინ, როდესაც ხუნა მარტოდ-მარტო დარჩება აქ, მეფე ხომ ბურგოსში დაისაკუთრებს თავის მეუღლის გვირგვინს.

**მარლიანო.** ძალიან მისახვედრია: თქვენ ლაპარაკობთ, „როგორც სახელმწიფო კაცი, მე კი—როგორც ექიმი“. მასში თქვენ ჰხედავთ დედოფალს, მე ტანჯულ დედა-კაცს.

ს ც ე ნ ა IV

იზინივე, დედოფალი და დონია ელვირა.

**დედოფალი.** ჯერ არ დაბრუნებულა?

**მარლიანო.** ჯერ არა, მაპატივეთ მე-თუ კიდევ გაგიმეორებთ რომ თქვენი ჯანმთელობის...

**დედოფალი.** ჩემი ჯანმთელობა? ამისთვისაც არ შემიძლიან განა იმასთან ერთად ბურგოსში წავიდე? განა რა ავად-მყოფობაა, რომელზედაც სუყველა ლაპარაკობს და რომელსაც მე არა ვგრძნობ. საცოდავი თქვენი მეცნიერება; იგი ეძებს სხეულში იმას, რაც სულში ჩაბუდებულია და უბედურის ოხვრა ავად-მყოფის კენესისაგან ვერ გაუტრეფია! მიეცით თქვენი რეცეპტები და დარიგებანი იმათ, ვინც მათში საჭიროებენ; გული მხოლოდ გულითა მკურნალობს!

**დონია ელვირა.** დამწვიდრათ, დედოფალო...

**დედოფალი.** თქვენ ჭკუაზე ხომ არ შემცდარხართ, თქვენ მისი დაშორებით გინდათ გამკურნოთ?

**მარლიანო.** მე თქვენ ძალას არ გატანთ. მე თქვენთვის მხოლოდ სიკეთე მსურს.

**დედოფალი.** ეგ ხომ ვიცი, მარლიანო, და იმედოცა მაქვს, მეფე რომ დაბრუნდება ეტყვი მას, რომ მე სრულიად კარგათა ვარ და მასთან მოგზაფრობა შემიძლიან. (ადმიმზღისკენ მაისედაც) ოჰ, თქვენც აქა ხართ!...

**ადმირალი.** მე მოვედი მოწყალება ეთხოვო თქვენს დიდებულებას.

**დედოფალი.** რა გვარი?

**ადმირალი.** რომ თქვენ მისცეთ ნება თქვენს დიდებულების ძველს და ერთგულს მონას გიამბოროს ხელზე და წარსდგეს თავის დედოფლის წინაშე.

**დედოფალი.** მინ არის ეგ?

**ადმირალი.** პაპიტანი ღონ ალვარ-დე-მს-ტუნია.

**დედოფალი.** მახსოვს მე იგი. საიდგან მოსულა?

**ადმირალი.** იტალიიდან.

**დედოფალი.** მამაჩემს ძრიელ უყვარდა იგი. უთხარით რომ მოვიდეს. მეფე ჯერ არა ბრუნდება.. ოჰ, რა ბერს ხან გაგრძელდება ეს დაწყებული ნადირობა! წადით, ბატონებო, წადით შემიტყუეთ რაიმე ამბავი. (ადმირალი და მარლიანო გადის შუა კარებიდან).

ს ც ე ნ ა V

დედოფალი და ელვირა.

**დედოფალი.** (ფანჯარასთან მივა) გაიხდე, შორს ხომ არა მოჩანს რა?

**ელვირა.** არაფერი არა მოჩანს რა, დედოფალო.

**დედოფალი.** იმან თავის ჩვეულებაზე უფრო დაიგვიანა, ნეტა ხომ არაფერი შემთხვა.

**ელვირა.** აბა რა უნდა შემთხვეოდა.

**დედოფალი.** მაგრამ მე ხომ ტყუილათა ვწუხვარ. იმისთვის ხომ სულ ერთია დამშვიდებული ვიქნები, თუ გაბოროტებული.

**ელვირა.** თქვენ ხომ მოგეხსენებათ, სენიორა, რომ ღონ შილიპეს ძრიელ უყვარს ნადირობა.

**დედოფალი.** ნადირობა? მაშ შენ გგონია რომ იგი ნადირობაშია გართული?

**ელვირა.** რასაკერვლია.

**დედოფალი.** ძარგი იქნებოდა, ეგ რომ ასე იყვის. მს კი არა მჯერა, თუ ჩვენ ერთად გავალთ ტუდელიდან.

**ელვირა.** რატომ?

**დედოფალი.** ოხ, ელვირა! შილიპე მატყუებს მე. შილიპეს ვილაცა უყვარს.

**ელვირა.** მინ უნდა უყვარდეს?

**დედოფალი.** არ ვიცი კი ვინ უყვარს, მაგრამ გული კი გრძნობს, რომ შილიპეს სხვა უყვარს. აი ეს არის მიზეზი, რომ აქამდისინ არ გავდავართ ამ ქალაქიდან.

**ელვირა.** მე გგონია, რომ თქვენ ტყუილად სტანჯავთ თქვენ თავს.

**დედოფალი.** მანა შენც ეგრე? მანა შენც ველარ უნდა მოგენდო სუყველაფერში? შენც ცდილობ მამატყუო? შენ იცი რომ მეფემ რამდენჯერმე მილალატა. ღღეს... არ მინდოდა ეს შენთვის მეთქვა, რადგანაც დამიწყებ რწმუნებას, შენ ხომ

არ გამოგიცდია ექვი და აბა როგორ შევიძლიან წარმოიდგინო მისი შედეგი. მე მართალი ვიქნები, რომ ვთქვა: ზეცამ შენში კარგი მეგობარი მაჩუქა, მაგრამ რაში მინდა მე შენი რჩევა. იგი მარტოკა გულს მიშფოთებს. ბანა რას უნდა ემსახურებოდეს შენი ჩემდამი სიყვარული? დამიგდე ყური, გიამბო რაც მე ამას წინად გავიგონე.

**ელვირა.** მითხარით, სენიორა, მიანდეთ თქვენი გული ჩემს გულს—იგი თქვენია!

**დედოფალი.** ისევ ისე კარგად მეჩვენება, ჩემო ნამდვილო, ერთგულო მეგობარო. პარგად დამიგდე ყური: მე შევნიშნე რომ ყოველ საღამოს... ახ... (შირბენს ფანჯარასთან) გესმის? (ბრუნდება ჯანს-ცნისზე) არა, მოვტყუედი... იგი ჯერ არ დაბრუნებულა.

**ელვირა.** ბააგრძელებთ.

**დედოფალი.** მე შევნიშნე—რომ მეფე ყოველ საღამოს გადის ხოლმე სასახლიდან და ორა საათი და მეტიც აღარა ბრუნდება. ბუშინ ჩემს კეთილს პაქს ბერნანს უბრძანე ჩუქად გაჰყოლოდა.

**ელვირა.** მტყობა, დედოფალო, თქვენ თავის დღეში არ გაისწორებთ ხასიათს.

**დედოფალი.** შენ არ მითხარი—რომ აღარას დაგაყვედრიო? ბუშინ მეფე იყო—როგორა ჰფიქრობ სად? არა შენ ამას ვერ მიჰხედები. ის იყო სასტუმროში, პაპილიონში, რომელიც ქალაქის ახლოა, სახელად ტოლოდსკის ეძახიან.

**ელვირა.** ღონ შალიბე პაპილიონში?

**დედოფალი.** და რისთვის უნდა წასულიყო პაპილიონში? მე ამასაც ადვილად გავიგებდი, ამ ბავშვს რომ გეებდნა იქ შესვლა. საწყალს პაქს შეშინებოდა—მეფემ არ დამინახოს და არ მიცნოსო. ახ, მღვირა, შალიბე იქ ვიდაც ქალის გულისთვის დაიარება. ნამდვილად ეს მიზეზი უნდა იყვეს.

**ელვირა.** ბანა არ შეიძლება სხვა რამ მიზეზი იყვეს?

**დედოფალი.** ახ, ნეტავი არ იქნება—რომ ვცდებოდე!.. მაგრამ სუყველა ამას ჩვენ მალე შევიტყობთ. ღვს უნდა ბერნანი შევგზავნო იქ.

**ელვირა.** როგორ? დღესაც გნებავთ მეფეს უდარაჯოთ?

**დედოფალი.** მართალი რომ გამოდგეს, რასაც მე ვფიქრობ? მერე? მე ხომ მაშინვე უნდა გამოვემშვიდო წუთი-სოფელს!

**ელვირა.** დედოფალო, ესეც წარმოიდგინეთ—რომ იმისთანა ალაგებში მარტოკა გლეხის გომბიოებს შეესვლებათ...

**დედოფალი.** მერე? გლეხის ქალები კი ადამიანები არ არიან?

**ელვირა.** ჩემი მოვალეობა მოითხოვს, რომ დაგიფაროთ თქვენ მაგ უაზრო განძრახულობიდან.

**დედოფალი.** უცნობმა ვინმემ ორივეს რომ დაგეკვირდეს შენ დედოფალი ეგონები, მაგრამ დედოფალი მე ვარ, ეს ნუ გავიწყდება შენ...

**ელვირა.** მაპატიეთ, დედოფალო თუ ვინცოცაა ერთგულობა მამრმავებს...

**დედოფალი.** რისთვის მაძულებ—რომ ამეებს ვეუბნები. მაპატიე, მღვირა!

**ელვირა.** მაგას ნუ ბძანებთ, დედოფალო, თორემ მე ჩემი თავისაც კი მრცხენიან.

**დედოფალი.** მე ასე ცხოვრება აღარ შემიძლიან. თუ მე ვცდებო, ოჰ, რა მოხარული ვიქნებოდა, მღვირა! და თუ არ ვცდები, თუ შილაპეს უყვარს სხვა, მაშინ მის თაყვანებას დევანებთ თავს—და მაშინ ხომ უფლებაც მექნება. მაგისთვის მე ბევრჯელ მიპატიებია, მაგრამ ეხლა კი მაგას ველარ დავთმობ. იყავი, მღვირა, დაჯერებულნი, რო შევიძულებ შილიპეს—თუ დავაწმუნდი რომ იგი მატყუებს. მარტო ექვითაც-კი მძულდება მე იგი! (შირბენს ფანჯარასთან) როგორც იყო ველირსენით მის დაბრუნებას. ბაიხედე, მღვირა, დაბრუნდა იგი. მე მივეგებები მას!... შილიპე, ჩემო სულო! (საჩქაროთ გავა შუა კარებიდან).

ს ც ე ნ ა VI

ელვირა (მარტო).

**ელვირა.** რა სიყვარულია?! დავიჯერო—მეფე მართლა შეურაცხ-ჰყოფს მას თავისი უსირცხო სამიჯნურო ამბებით? დავიჯერო, მეფემ რომელიმე გლეხის ქალი შეიყვარა?... მაგრამ შილიპესაგან სუყველაფერი დასაჯერებელია. საწყალი დედოფალი... რა რიგ მხიარულობს—როცა კი იმასა ჰხედავს...

აღ. ნ—თ—მე.

(შეფიქვნილი)

რედატორი და გამომცემელი გ. ა. ა. შამიე.



ს უ რ ა თ ე ბ ი

ჩუგნი ჰოკუტობის

აბასი ვაგაქელისა და ა. შავვაძეებისა

ისელები ბრიგადი ჩარკიანის წიგნის მღვთაშაზი

ფასი ჩინებულ ქალაქებზე 2000 აბაზი

მინც ათზე მეტს გამოიწერს სამ შუაგით დაუთმობა.

ОТКРЫТА ПОДПИСКА  
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41-й годъ изданія).

Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ“ будетъ выходить по  
прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно  
не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

	съ доставкою въ Тифлисъ.	СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ
	по Имперіи	по почтовому союзу
На годъ . . .	11 р. 50 к.	13 р. . . . . 18 р. 40 к.
„ полгода . .	6 р. — „	7 р. . . . . 10 р. — „
„ 3 мѣсяца . 3	р. 50 „	4 р. . . . . 6 р. — „
„ 1 мѣсяць .	р. 50 к.	2 р. . . . . 1 р. — „

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ,  
уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы. домъ Ротинава.  
Для иногор. адресовать: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“

ს უ რ ა თ ე ბ ი

ს უ რ ა თ ე ბ ი

ს უ რ ა თ ე ბ ი

ს უ რ ა თ ე ბ ი

ს უ რ ა თ ე ბ ი

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ,

ВЪ КАНЦЕЛЯРИИ ВОЕН. ГУБЕРНАТОРА

КАРСКОЙ ОБЛАСТИ

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ“

на будущій 1886 годъ.

Газета „КАРСЪ“ въ 1886 году будетъ из-  
даваться на тѣхъ же основаніяхъ, какъ и въ  
текущемъ году, подъ тою же редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСИ:

съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля,  
за четыре мѣсяца одинъ рубль.

Подписка принимается въ Канцеляріи Воен-  
наго Губернатора, куда адресуютъ свои пре-  
дванія и иногородныя.

Газета „КАРСЪ“ имѣетъ ближайшею цѣлю  
всестороннее изученіе Карской Области и  
распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и то-  
чнѣхъ свѣдѣній, какъ о нагнѣшемъ ея со-  
стояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направлен-  
ныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ  
быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица,  
собирающія свѣдѣнія по тѣмъ или другимъ го-  
просамъ, касающимся Области, ея населенія  
и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей во-  
несъ, выразить свое сочувствіе газетѣ и по-  
желаютъ оказать ей редакціи просвѣщеніе  
свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ  
рукахъ свѣдѣній и матеріаловъ; а потому ре-  
дакція, уважительно проситъ этихъ лицъ не  
отказывать ей въ своемъ участіи.

გ ა ს უ თ ი „ კ ა რ ს ო ს ო ს “ ფ ა ს ი

სექტემბრიდან იანვრამდე — 2 მანათი.

რედაქციის ადრესი: Базарная улица,  
домъ Тамашевой, № 16.

სტამბა

გ რ . ჩ ა რ კ ე ბ ი ა ნ ი ს

ილავს ყოველ სასტამბო საქმეებს დასაბუჯდომ

თბილისი ღონის-მკელიძე ქუჩაზე, შუბაღოვის სახლებში,  
სემინარიის პირ-და-პირ.